საექსპერტო შეფასება

ქ.თბილისში, შავიშვილის ქ.N1 -ში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.04.029.116) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის მშენებლობისას მოსაზღვრე შენობა- ნაგებობების მდგრადობაზე გავლენის შესახებ

აღნიშნული მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა მდებარეობს ქ.თბილისში ნავთლუღის ქ.N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

დამკვეთი: შპს „T ენერგია“ _____ დირექტორი დიმიტრი ადამია,

მთ. არქიტექტორი: _____ სალომე ავალიანი.

მთ.კონსტრუქტორი: _____ თეიმურაზ მაცაბერიძე.

ექსპერტი-კონსტრუქტორი: _____ ნიკოლოზ ჭკუასელი

შპს „T-ენერგია“-ს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ჩემს მიერ- ექსპერტი - ნ.ჭკუასელი, 2020 წლის მაისში და შემდგომ ნოემბერ-დეკემბერში შემოწმებული და შესწავლილი იქნა საექსპერტიზოდ წარმოდგენილი - ქ.თბილისში, უკვე მშენებარე შავიშვილის ქუჩა N1 -ში მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები, სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, (საინჟინრო გეოლოგიური ნაწილის ექსპერტი - ია მშვიდობაძე), შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების სისტემის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები და „განმარტებითი ბარათი“, შენობის კორექტირებული პროექტის ჯერ კონსტრუქციული დასკვნის და შემდგომ აღნიშნული მშენებარე ობიექტის მშენებლობისას მოსაზღვრე არსებულ შენობებზე მდგრადობაზე ზეგავლენის შესახებ „საექსპერტო შეფასების“ გაცემის მიზნით.

მშენებარე საპროექტო ობიექტი (ს/კ 01.14.04.029.116) – 16 სართულიანია, 2 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართულებით, საოფისედ და ავტოფარეხებით.

შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მიხედვით შენობის დაფუძნება განხორციელებული არის დგარი-ხიმინჯებით ქანებში ჩაანკერებით. ძირითადი ქანებია არგილითებისა და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული. სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{сп}$=85.6 კგძ/მ^2, დრეკადობის მოდული $E_{დრ}$ = = 2756,7 მპა, სიმკვრივე P = 2,35 კგძ/სმ^3.

კონსტრუქციული სქემის გადაწყვეტის მიხედვით შენობა მიეკუთვნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სივრცული სისტემის სიხისტის ბირთვებით და სიხისტის დიაფრაგმებით, რომლის მზიდი ელემენტებია:

- მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილა და დგარი-ხიმიჯები (სიგრძე ცვალებადია), ხიმინჯების დიამეტრია 150 სმ÷120 სმ. საძირკვლის ფილის სისქე h = 100 სმ. გამოყენებულია ბეტონის კლასი B-35, არმატურა A500C კლასისაა.
- მონოლითური რკ.ბ. სვეტები; განივკვეთის ზომები ცვალებადია, შენობის სიმაღლის მიხედვით. სვეტებში გამოყენებულია ბეტონი B-30 და B-35 კლასი; არმატურა A500C კლასისა.
- მონოლითური რკ.ბ. შემომზღუდავი კედლები, დიაფრაგმები და ბირთვი კედლები: 40÷20 სმ სისქისაა. ბეტონი B-35 და B-30 კლასი; არმატურის კლასია - A500C.
- მონოლითური რკ.ბ. სართულშუა გადახურვის ფილები, პანდუსები და კიბის მარშ-ბაქნები - რკ.ბ. წიბოვანი ფილებია სისქით 18-20სმ. სიმაღლე - 50 სმ. გამოყენებულია ბეტონი B-30 და B-35 კლასი; არმატურა A500C კლასის.

შენობის მზიდი ელემენტების, როგორც სივრცითი სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვაზე, ჰორიზონტალურ ქარის დატვირთვაზე პულსაციის გათვალისწინებით, 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე, ჩატარებულია ლიცენზირებული საანგარიშო კომპლექსი ЛИРА-САПР-18s - საშუალებით, (ლიც. N 932989348). ნორმატიულ დოკუმენტში „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09)-ში მოყვანილი მეთოდიკისა და აგრეთვე შენობების განთავსების ტერიტორიის გეოფიზიკური კვლევების საფუძველზე.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვაა 85 კგძ/მ^2, ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვაა - 50 კგძ/მ^2.

პროექტი დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

- არსებული მომიჯნავე (მოსაზღვრე) შენობა - ს/კ 01.14.04.028.015) - 5 სართულიანია, დაშორებულია საპროექტო ობიექტიდან 31,40 მ-ით;
- მომიჯნავე შენობა - ს/კ 01.14.04.029.106 – 13 სართულიანია; დაშორებულია საპროექტო ობიექტიდან - 14,40 მ-ით;
- მომიჯნავე შენობა - ს/კ 01.14.04.029.038 – 2 სართულიანია; დაშორებულია საპროექტო ობიექტიდან - 8,61 მ-ით;

- მომიჯნავე შენობა - ს/კ 01.14.04.029.059 – 17 სართულიანია; დაშორებულია საპროექტო ობიექტიდან - 21,25 მ-ით;

მშენებარე საცხოვრებელი სახლს მინიმუმ 8,61მ-ის მანძილზე ახლოს არ ესაზღვრება არცერთი შენობა-ნაგებობა (მხოლოდ 2 სართულიანი შენობაა ასეთი დაშორების და დანარჩენი - 20÷31მ-ით). მშენებარე საცხოვრებელი შენობის საძირკვლების ჩაღრმავებიდან და სამშენებლო მოედანზე გავრცელებული ფუძე-გრუნტების ძირითადი მახასიათებლებიდან გამომდინარე ქვაბულის დამუშავებისას ქვაბულის კედლებს მიეცა ბუნებრივი დახრა. ქვაბულისა და ზოგადად შენობის დაფუძნებასთან დაკავშირებით დეტალურად წარმოდგენილია მუშა-ნახაზები.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მთლიანად არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტილებათა საფუძველზე შედგენილი კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფილებს მდგრადობის, სიმტკიცის და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. რაც შეეხება მომიჯნავე არსებული შენობების მდგრადობაზე საპროექტო ობიექტის მშენებლობისას უსაფრთხოების თვალსაზრისით აკმაყოფილებს საერთო მიღებულ ნორმატიულ დოკუმენტების მოთხოვნებს.

დასკვნა

ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, შავიშვილის ქუჩა N1 -ში კორექტირებული პროექტით მშენებარე ობიექტის გაცნობისას, შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებისა და შედეგების ანალიზი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ მისი მდგრადობა და მედეგობა უზრუნველყოფილია. ამასთანავე დაცულია ნორმატიულ დოკუმენტთა მოთხოვნების პირობები, მომიჯნავე შენობების უსაფრთხოების თვალსაზრისით, როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ექსპლოატაციის პირობებშიც.

ექსპერტი-ინჟინერ მშენებელი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი /ნ.ჭკუასელი/

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026007411

სახელი ნიკოლოზ

გვარი ქურასული

დაბადების თარიღი 09/08.1934 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ---

N° J 0207506

ნ. ქურასული

პირადი ხელმოწერა

ვადის გასვლის მიზეზი ---

გაცემის განმცემი ორგანოს დასახელება თბილისის საჯარო რეესტრის სამსახურის მ.ს. მერი ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 07.04.1998 წ.

წარმდგომის ვადა უვადო

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

CV

ნიკოლოზ ჭკუასელი

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭკუასელი ნიკოლოზ პეტრეს–ძე
დაბადების თარიღი, ადგილმდებარეობა	1934წ., 9 აგვისტო, ქ. თბილისი
მისამართი, ტელეფონი	ქ. თბილისი, ბახტრიონის 1–ლი კორ., ბ.200 ტელ.: 2362501, მობ.: 555 36 25 01
განათლება	1952წ. – ქ. თბილისის ვაჟთა მე–7 საშ. სკოლა 1958წ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მშენებელ–ინჟინერის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1968წ. – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი – (დიპლომი). 1995წ. – აშშ–ს მეცნიერების, განათლების, მრეწველობის, ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი – (სიგელი) 2003წ. – საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი – (დიპლომი) 2006წ. – საქართველოს დამსახურებული მშენებელი – (სიგელი) 2007წ. – საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი – (დიპლომი)
საქმიანობა, სამუშაო გამოცდილება	1958–1962წ.წ. – „თბილქალაქპროექტი“ – ინჟინერ–კონსტრუქტორი. 1962–1976წ.წ. – სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი. 1976-1992წ.წ. – ამავე ინსტიტუტში – შეთავსებით, მეცნიერ–თანამშრომელი. 1976–1996წ.წ. – მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში („საქსახმშენი“) – სამმართველოს, მთავარი სამეცნიერო–ტექნიკური სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი. 1996წ. დღემდე – სახელმწიფო ლიცენზირების ცენტრი, შპს საპროექტო სამშენებლო ინჟინერინგი – დირექტორის მოადგილე, დირექტორი. 1971–1974წ.წ. – ალჟირის სახალხო–დემოკრატიული რესპუბლიკა, მივლინებით – საკონსტრუქტორო ბიურო, საპროექტო–ტექნოლოგიური, სასწავლო ინსტიტუტი – უფროსი ინჟინერი, ჯგუფის უფროსი, ლექტორი. 1977–1992წ.წ. – საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები და ექსპერტიზა	გამოქვეყნებულია 48 სამეცნიერო შრომა – სამშენებლო კონსტრუქციების ექსპერიმენტალურ–თეორიული კვლევების განხრით. თხუთმეტზე მეტი პუბლიკაცია რესპუბლიკისა და უცხოეთის ჟურნალ–გაზეთებში – მშენებლობის დარგის განვითარების და საქართველოს მშენებელთა მოღვაწეობის შესახებ; მონაწილეობა საქართველოსა და უცხოეთში სამეცნიერო კონფერენციებში. გაცემულია 100–მდე საექსპერტო დასკვნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე და საერთოდ მშენებლობის მდგრადობაზე. სამსახურებრივი მოვალეობის შესაბამისად კურატორობდა და პირადად მონაწილეობდა „სამშენებლო ნორმებისა და წესების“ დამუშავება–გამოქვეყნებაში.
ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური, რუსული – კარგად. ინგლისური, ფრანგული – სასაუბრო, თარგმნა ლექსიკონის დახმარებით.

დიპლომი

К № 756982

ეს დიპლომი მიეცა .....ნიკოლოზ.....
.....ბეგლარის ძე.....ტატიშვილს.....
მასზე, რომ იგი .....1932.....წელს შევიდა საქართველოს
სახელობის თბილისის ორდენოსანი შრომის წითელი დროშის
თბილისური .....პოლიტექნიკური ინსტიტუტის.....
და 1938 წელს დამთავრებით .....
.....
.....
.....
სრული კურსი სპეციალობით .....
.....
.....
.....

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
მინისტრთა საბჭოს მუშაკთა საქმეთა კომიტეტის

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

МТН № 041079

Москва 5 марта 196 Jг.

Решением
Совета при Тбилисском научно-исслед. институте
сооружений и гидроэнергетики им. А.В. Винтера
от 7 мая 1968 г. (протокол N)

Чхасели Николаю Петровичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета



დაჯილდოების

სიგელი

მაყურებლის ნიშნად პატივისცემის

საქართველოს მშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 27 ოქტომბრის №1-1/1266 ბრძანებით მიენიჭა

საქართველოს ღირსებათა მშენებლის წოდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე — ზვიად მაცრეკანი

საქართველოს არქიტექტორთა ჯვშირის თავმჯდომარე — ლაშა ბუაძე

საქართველოს მშენებელთა ფედერაციის პრეზიდენტი — თეიმურაზ ჯანელია